



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

**დისციპლინური საქმე №143/19-1
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 13 აგვისტოს №143 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის №392/143-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2019 წლის 20 ივნისის სააპელაციო სხდომაზე მოსამართლე --- უთხრა, რომ თავის გადაწყვეტილებაში იმსჯელებდა მთავარი პროკურატურის 2016 წლის 9 მარტის კანცელარიის ელექტრონულ ბარათზე, რაც წარმოადგენდა სადავო მტკიცებულებას და რასაც მოსამართლემ არანაირი შეფასება არ მისცა თავის გადაწყვეტილებაში. საჩივრის ავტორი თვლის, რომ აღნიშნული მტკიცებულება მისი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იქნებოდა.

მოსამართლემ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მისი 2019 წლის 21 მაისის შუამდგომლობა შესაგებლის შევსების თაობაზე. 2019 წლის 20 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე --- განაცხადა, რომ ადმინისტრაციული საქმეებზე შესაგებლის წარმოდგენა არ არის სავალდებულო, რაც სრულად ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

მოსამართლე --- გვერდი აუარა და შეფასების გარეშე დატოვა პროკურატურის მიერ მისთვის შინაგანაწესის კანონის დარღვევით - 3 წლისა და 2 თვის შემდეგ გაცნობის ფაქტს.

მოსამართლის განჩინება შედგენილია კანონის დარღვევით, რადგანაც შეიცავს აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს, რასაც არ უნდა შეიცავდეს; განჩინება ზედმიწევნით და სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შინაარსს, რომელიც მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის პერიფრაზირებას წარმოადგენს.

საჩივრის ავტორმა 2019 წლის 16 მაისს დააყენა შუამდგომლობები გენერალური პროკურატურიდან

მასალებისა და ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, რაც მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა. მოსამართლემ არანაირი შეფასება არ მისცა იმ სამართლებრივ დარღვევას, რომ პროკურატურიდან დათხოვნის ბრძანებაზე არასწორად იყო მითითებული სასამართლოში გასაჩივრების შესახებ.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა მთავარი პროკურატურის დასკვნის გაყალბების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მასალების პროკურატურისათვის გადაცემის თაობაზე.

სასამართლომ არანაირი შეფასება არ მისცა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას სხდომის ოქმების არარსებობას, რადგან ოქმში შეტანილი არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მონაცემები. გარდა ამისა, 2019 წლის 17 იანვრის სხდომის ოქმი არ იყო ტექნიკურად ჩაწერილი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2016 წლის 5 აგვისტოს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურატურის მოსარჩელე -- -- თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 2016 წლის №-- ბრძანების ბათილად ცნობა. მოსარჩელე -- -- ასევე ითხოვდა ახალი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემას და თანამდებობაზე აღდგენას და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- 2019 წლის 1 მარტს წარადგინა სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

ამავე სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილი იყო -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 თებერვლის საოქმო განჩინების გაუქმება, რომელიც შეეხებოდა -- რაიონული პროკურატურის მუშაკების მიერ ინტრანეტში შეტანილი მონაცემების შენახვის ადგილზე დათვალიერებასა და გამოკვლევას.

2018 წლის 1 თებერვლის სასამართლო მთავარი სხდომის თანახმად, -- -- დააყენა შუამდგომლობა ინტრანეტის მონაცემების ადგილზე დათვალიერებასთან დაკავშირებით, რაც მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა.

აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება განჩინების ფორმით სასამართლოს არ მიუღია, რასაც შემდგომ ასაჩივრებდა აპელანტი.

-- -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 01 თებერვლის განჩინება შეეხო მხოლოდ მოსარჩელის -- -- -- შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს -- -- დოკუმენტების გამოთხოვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ განჩინებაში, ინტრანეტის მონაცემების ადგილზე დათვალიერებაზე შუამდგომლობაზე უართან დაკავშირებით მსჯელობა არ ყოფილა.

2019 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომაზე, აპელანტის შუამდგომლობების ჩამოთვლისას, მოსამართლემ არ ახსენა ერთი შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე, რაც აპელანტის მითითებით მოიძია საქმის მასალებში. აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, მოსამართლემ განმარტა, რომ რადგან შუამდგომლობას არ ერთვოდა მტკიცებულება, არ ჩათვალა საჭიროდ მისი ცალკე განხილვა, რადგან მასში საუბარი იყო იმაზე თუ როგორ არ გადასცა გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ მოთხოვნილი ინფორმაცია, რაც სხდომის ოქმშიც

აისახებოდა.

2019 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომის მოსმენის შედეგად დასტურდება, რომ აპელანტის შუამდგომლობა გაგზავნილი არ იყო მოწინააღმდეგე მხარესთან და წარდგენილი ორივე ეგზემპლარი ჩაკერებული იყო საქმეში, რაც ადგილზევე გადაეცა მოწინააღმდეგე მხარეს.

2019 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომაზე -- -- საუბრობდა მის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომაზე, რაზეც მოსამართლემ განუმარტა, რომ ამ საკითხზე ვერ იმსჯელებდნენ, რადგან განსახილველი საქმე არ შეეხებოდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას.

-- -- 2019 წლის 6 ივნისს შუამდგომლობით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს -- --, გამოძიების დაწყების მიზნით, საქმის მასალების საქართველოს გენერალურ პროკურატურისთვის გადაცემის თაობაზე.

-- -- 2019 წლის 24 ივნისს განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა 2019 წლის 16 მაისის სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 26 ივნისის განჩინებით, -- -- 2019 წლის 24 ივნისის განცხადება დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება -- -- ჩაბარდა 2019 წლის 27 ივნისს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- მიერ მიღებული საბოლოო განჩინება, მათ შორის 2019 წლის 26 ივნისის განჩინება, -- -- გაეგზავნა 2019 წლის 16 ივლისს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ოქტომბერის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გაუზიარებლობაზე, შუამდგომლობ(ებ)ის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაზე, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის

დაუდგენლობაზე, ზოგიერთი მტკიცებულების განჩინებაში შეუფასებლობაზე, განჩინების დოკუმენტის ფორმალური მხარეების დაუცველობაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს და გენერალური პროკურატურის შეფასებების განჩინებაში გაზიარებაზე (საჩივრის ავტორის აღნიშნულს აფასებს, როგორც პერიფრაზირებას).

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მოცემული საკითხების შეფასება ვერ განხორციელდება თუ არ შეფასდა მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება, საიდანაც საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტები გამომდინარეობს, რაც თავისი არსით წარმოადგენს კანონიერების სფეროს, შესაბამისად, მისი შინაარსის შეფასება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია და ვერ განხორციელდება.

ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების დროს ვერ მოხდება მოსამართლის განმარტებების კანონიერების შემოწმება, რომელიც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ ფაქტებს. ვინაიდან, მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილებისა თუ განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ოქტომბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2019 წლის 13 აგვისტოს №143 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი

შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

შეწყდეს -- -- 2019 წლის 13 აგვისტოს №143 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება, კანონიერების შემოწმების ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი